საზგასანმელია ის ფაქტი, რომ ადამიანები ხშირად არარაციონალურად იქცევიან და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანის გადაწყვეტილებების წარმართველი „უხილავი ხელი“ სწორედ რომ ჩვენი ირაციონალური ბუნებაა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ მოხდება ადამიანთა ირაციონალური ქცევის განჭვრეტა და გააზრება ორგანიზაციების მიერ, ისინი ადვილად შეძლებენ და ისწავლიან მისი მავნე შედეგების თავიდან აცილებასა და დაბალანსებას. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთ ნაკლებად შესწავლილ არეალებში, როგორებიცაა, მაგალითად, საქმიანობასა და ანაზღაურებას, რისკსა და ჯილდოს, ლოიალურობასა და სამომხმარებლო ჩვევებს, ასევე ფასების დაწესებასა და მყიდველთა ქცევებს შორის არსებული ურთიერთკავშირები.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ეტაპზე კომპანიები უფრო ყურადღებით სწავლობენ დაინტერესებულ მხარეთა მიდრეკილებებს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნას, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ისინი მომავალში ბევრად უფრო ბრძნულად წარმართავენ თავიანთ საქმეს.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ალფრედ კურატაშელი, „მოგება ნამდვილად აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის საშუალება, და არა როგორც თვითმიზანი“ [3, გვ. 13].

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სწორედ ადამიანი უნდა იყოს მიზანი და არა საშუალება.

სოციალური ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდამ გამოიწვია ის, რომ „მყიდველი ბაზარზე არსებული პროდუქციის უბრალო, პასიური მომხმარებელიდან გადაიქცა ეკონომიკური პროცესების აქტორად და მისი გემოვნება და მოთხოვნები, ფაქტობრივად, გახდა საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი გადამწყვეტი მონაწილე“ [2, გვ. 248].

ჩვენი აზრით, ახალი ეკონომიკის პირობებში სულ უფრო აშკარა და ცხადი გახდა ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, მისი შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენების აუცილებლობა, რაც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადამიანში ინვესტირება თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალდაბანდების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მიმართულებად ითვლება.

„ახალი ეკონომიკის პირობებში არსებითად იცვლება თვით სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ მისი ფიზიკური, არამედ, უფრო მეტად, პიროვნული თვისებების, შრომის კულტურისა და ეთიკის კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებით. ტექნიკური პროგრესის გადრმავებასთან ერთად სულ უფრო ჩქარდება ადამიანის სოციალურად მომწიფების პროცესი, რაც იმით გამოიხატება, რომ ახალ ვითარებაში იგი ყოველთვის მზადაა გაუძღოს ნებისმიერ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას, აქვს მაღალი გემოვნების, შემოქმედების, ინდივიდუალური თვისებებისა და შესაძლებლობების თვითრეალიზაციის უნარი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალ ვითარებაში სამუშაო ძალის სრულიად ახალი ტიპის ფორმირებას, რომელსაც ხელეწიფება, ინდუსტრიულ ეპოქასთან შედარებით 3-5-ჯერ დააჩქაროს ახალი ტექნოლოგიების პროგრესი“ [4, გვ. 92].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებულ წარმოებაში, სადაც პიროვნული მოდელის განვითარებისათვის სათანადო პირობები იქმნება, დომინანტურ ადგილს იკავებენ კრეატიულად, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანები.

სოციალური ფაქტორის (ადამიანისეული ფაქტორის) გავლენა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე აბსოლუტურად განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს ეკონომიკურ პრობლემატიკას, რომლის განხილვაც მხოლოდ ვიწრო კონტექსტში ხდებოდა და უკანა პლანზე ტოვებდა იმ სოციალურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ პროცესებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საქართველოს გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.
2. მეზვრიშვილი ლ. ეკონომიკური სოციოლოგია. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბილისი: „მეცნიერება“, 2003.
3. Кураташвили Альфред. На грани необходимости радикальных перемен в ориентации общества и государства. Международный научный журнал «Прогресс», 2001, №1-2. Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2001.
4. Вильховченко Э. Социально-профессиональное развитие человека в производстве передовых стран. Журнал «МЭ и МО», 1997, №8. М., 1997.

*Bachiashvili Tamar*  
*PhD in Economics*

**THE INFLUENCE OF THE SOCIAL FACTOR ON THE ECONOMIC  
EFFECTIVENESS OF MARKETING RELATIONSHIPS**

**Summary**

The influence of social factor on the economic effectiveness of the marketing relationships is discussed in the scientific literature.

It is analyzed in the article that without social factor it is impossible to analyze the facts and phenomena on the public, state and institutional level.

**მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები**

*გიორგი აფციაური*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში*

**ევროკავშირი და მისი საბაზრო ეკონომიკური პრობლემები**

ევროპის კავშირი, შემოკლებით ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 27 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ კმ, მოსახლეობა - 455 მლნ ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-სა და იაპონიას.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებათა შორის ყველაზე მეტად განვითარებული ევროპული ინტეგრაციაა. მისი მამოძრავებელი ძალაა უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამეგობრობაში კავშირის პოზიციის გაძლიერებას.

ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საერთო ბაზრის შექმნა, რომელმაც ინტეგრაცია შემდგომ საფეხურზე აიყვანა. საერთო ბაზრის შექმნა ევროკავშირის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა და გამოწვევაა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში არსებული შეზღუდვების თანდათანობითმა გაუქმებამ ქვეყანათა ურთიერთვაჭრობა და შესაბამისად, ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საერთო ბაზრის შიგნით არ არსებობს საბაჟო საზღვრები და მოქმედებს „ოთხი თავისუფლება“:

1. **საქონლის თავისუფალი მოძრაობა.** სრული თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ საბაჟო კავშირის შექმნა საკმარისი არ აღმოჩნდა, ასევე საჭირო გახდა არასატარიფო დაბრკოლებების ეტაპობრივი შემცირება და გაუქმება;

2. **მომსახურების თავისუფალი მოძრაობა.** მომსახურების ბაზრის ინტეგრაცია სასაქონლო ბაზართან შედარებით რთულია, რადგან ხშირად სახელმწიფო რეგულირების ობიექტია;

3. **კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა.** 1988 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 1992 წლისათვის თანამეგობრობის ფარგლებში კაპიტალის თავისუფალი ბაზრის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა წევრ სახელმწიფოთა შორის კაპიტალის მოძრაობის სრულ ლიბერალიზაციას, რაც მთლიანობაში განხორციელდა განსაზღვრულ ვადებში.

4. **ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება.** ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებმა მიიღეს უფლება იმუშაონ და ეძებონ სამსახური სხვა წევრ სახელმწიფოებში და ისარგებლონ შრომითი ანაზღაურების, სამუშაო პირობების და პროფკავშირების მხარდაჭერის უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები.

ევროკავშირის განვითარების ერთ-ერთი პოზიტიური მომენტი ისაა, რომ მისი წევრების ეკონომიკამ ინტეგრირების მაღალ ხარისხს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანათაშორისო ვაჭრობის წილი ამ ქვეყნების

საგარეო ვაჭრობაში. ეს მაჩვენებელი ასევე სწრაფად იზრდება ახალ წევრ ქვეყნებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია: საქონლისა და მომსახურების საერთო ბაზარი, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება, წევრი ქვეყნების შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა, ერთობლივი ვალუტა, სავალუტო პოლიტიკა და სხვა.

ბოლო პერიოდში ევროკავშირი უდავოდ გადაიქცა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად, რომლის პოზიციაც აშკარად ანგარიშგასაწვევია საერთაშორისო თანამეგობრობაში. მაგრამ ევროკავშირის მშპ-ის 64% მხოლოდ ევროკავშირის 4 წევრ ქვეყანაზე (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იტალია) მოდის, მაშინ როცა ბოლო ორი გაფართოების შედეგად გაწევრიანებულ 12 ქვეყანაზე ერთად მოდის ევროკავშირის მშპ-ის 5%.

2000 წლის მარტში ეკონომიკის მოდერნიზაციის მიზნით ევროკავშირმა მიიღო „ლისაბონის სტრატეგია“, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: სამეცნიერო კვლევა, განათლება, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ბიზნესის დაწევის გამარტივება და სხვ. ევროპულმა საბჭომ ევროკავშირის ახალი მიზნები დაუსახა: 2010 წლისათვის ევროკავშირი უნდა გამხდარიყო ყველაზე კონკურენტუნარიანი, დინამიკური და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომელსაც მდგრადი განვითარების უნარი შესწევს, უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებითა და სოციალური ერთობით.

### **ევროკავშირის კომპეტენციები**

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 27 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია, კერძოდ, საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

### **ევროზონა**

ევროზონა, ასევე ევროსისტემა ან ევროლენდი-რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს. 2007 წლისათვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: სან-მარინოს, მონაკოს.

2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეურთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი.

### **შენგენის ზონა**

შენგენის ზონაში შედის ევროპის 26 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.



ეს წესები შეიმუშავა 1999 წლის ევროკავშირის ქვეყნების ამსტერდამის შეხვედრამ. გარდა ამისა, შენგენის ხელშეკრულება მოქმედებს სამ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში: ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში და დე-ფაქტოდ სამ მიკრო-სახელმწიფოში: მონაკოში, სან-მარინოსა და ვატიკანში. ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, გარდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიისა, შეასრულა დანაპირები და შევიდა შენგენის ზონაში. გამონაკლისია კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც უახლოეს მომავალში შევლენ კავშირში. ამ დროისათვის შენგენის ხელშეკრულება მოიცავს 26 ქვეყანას, 4 312 099 კვ. კმ. და 400 მილიონ მოსახლეს.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ შიდა სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო, ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებული არიან, რომ ერთიანი პილიტიკა შეიმუშაონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას. შენგენის ზონამ დაიწყო ფუნქციონირება 1995 წლის 26 მარტს. თავდაპირველად ხელშეკრულება ამოქმედდა 6 ქვეყანაში: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი და პორტუგალია. 1997 წელს შეუერთდა იტალია და ავსტრია.

1999 წლის ამსტერდამის შეხვედრაში ხელშეკრულებამ საერთო ევროპული სამართლებრივი სტატუსი მიიღო, ანუ ევროკავშირის ყოველი ახალი წევრი ვალდებული იყო კანონმდებლობა მოეწესრიგებინა ამ დოკუმენტის გათვალისწინებით. 2000 წელს ზონაში შევიდა ახლად მიღებული საბერძნეთი და სკანდინავიის საპასპორტო კავშირის (ფინეთი, დანია, შვედეთი) ქვეყნები, ხოლო 2001 წელს ევროკავშირის არაწევრი 2 ქვეყანა ისლანდია და ნორვეგია. 2007 წელს ზონაში შევიდნენ ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. 2008 წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებას მესამე არაწევრი ქვეყანა, შვეიცარია შეუერთდა. 2011 წლის 19 დეკემბერს კი ლიხტენშტაინი გახდა შენგენის ზონის შემადგენელი ნაწილი.

ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა. შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებიც ავსებენ ერთი მეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ევროპის კავშირის სისტემის საერთო ორგანოები და ინსტიტუტები: ევროპის კავშირის საბჭო; ევროპული საბჭო; ევროპის პარლამენტი; ევროკომისია; ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო; ევროპის აუდიტორთა სასამართლო; ევროპის ომბუდსმენი.

ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციები: ევროპის ცენტრალური ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროკავშირის სხვა დამხმარე ორგანოები: ევროპის რეგიონთა კომიტეტი; ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი; ევროპის პოლიტიკის და უშიშროების კომიტეტი.

ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირის ოფიციალური პოლიტიკური ცენტრი არა აქვს, თუმცა დე-ფაქტო ”დედაქალაქად” ბრიუსელი ითვლება.

#### **ევროკავშირის წევრები**

1950: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი

**ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოები:**

1973: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია

1981: საბერძნეთი

1986: ესპანეთი, პორტუგალია

1995: ავსტრია, ფინეთი, შვედეთი

2004: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი

2007: ბულგარეთი, რუმინეთი

**ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები:** თურქეთი, ისლანდია, მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო. რაც შეეხება ხორვატიას, 2013 წლის 1 ივლისისათვის დაგეგმილია მისი 28-ე წევრად გაწევრიანება ევროკავშირში. ალბანეთი და ბოსნია და ჰერცეგოვინა ოფიციალურად დამტკიცდნენ როგორც პოტენციური კანდიდატები წევრობისათვის. ასევე კოსოვო არის პოტენციური კანდიდატების სიაში, თუმცა, ევროკომისია არ ცნობს მას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რადგან ყველა წევრმა ქვეყანამ კოსოვო არ აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატias, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

**ევროკავშირი და აშშ**

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირს, აშშ-სა და იაპონიას მსოფლიო ვაჭრობაში, ეკონომიკასა და ბიზნესში მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ. ევროკავშირის, ისევე როგორც აშშ-ის, განვითარების საგარეო ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია სავაჭრო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროკავშირი და აშშ ერთმანეთისათვის უმსხვილესი სავაჭრო, საინვესტიციო, სტრატეგიული პარტნიორები და კონკურენტები არიან. ისინი ასევე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორებს წარმოადგენენ.

2004 წლიდან მშპ-ის მოცულობით ევროკავშირი მსოფლიოს ლიდერია. აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 60%, ხოლო მსოფლიო საქონელითა და მომსახურებით ვაჭრობის - დაახლოებით 40%.

**ევროკავშირის, აშშ-ისა და იაპონიის მშპ (მლრდ ევრო)**

	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ევროკავშირი 27	8,142	8,558	9,173	9,549	9,911	10,077	10,577	11,035	11,641	12,304
იაპონია	3,448	4,102	5,057	4,580	4,162	3,744	3,707	3,666	3,485	3,197
აშშ	7,802	8,696	10,629	11,309	11,072	9,690	9,395	9,985	10,496	10,075

აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის დღიური სავაჭრო ბრუნვის მოცულობა აღემატება 1,2 მლრდ ევროს. ასევე, ორივე მხარე, ევროკავშირი და აშშ წარმოადგენენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის უმსხვილეს სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორებს. 2008 წელს ევროკავშირი – აშშ-ის სავაჭრო ბრუნვამ 436 მლრდ ევრო შეადგინა. ევროკავშირის საქონლის ექსპორტი აშშ-ში 2000-2008 წლებში 238 მლრდ ევროდან 249 მლრდ ევრომდე გაიზარდა.

აშშ-ის „მეორე ეკონომიკას“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების მძლავრ სტიმულს წარმოადგენს. აშშ-ის საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებში ერთ-ერთ გადამწვევტ როლს ასრულებენ ტნკები. მსოფლიოს 500 უმსხვილეს კომპანიათა შორის აშშ-ზე მოდის 150-ზე მეტი კომპანია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებზე - 170-ზე მეტი კომპანია. ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანად გაიზარდა მომსახურებით ვაჭრობა. ევროკავშირის მომსახურების ექსპორტმა აშშ-ში 2007 წელს 139 მლრდ ევრო, ხოლო აშშ-დან ევროკავშირში მომსახურების იმპორტმა 128 მლრდ ევრო შეადგინა. მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი მხარეებს შორის დადებითია ევროკავშირის სასარგებლოდ (+11 მლრდ ევრო).

აღსანიშნავია, რომ ორმხრივ ურთიერთობებში სავაჭრო და ბიზნეს კონფლიქტების ძირითადი ნაწილი ეხება აგრარულ სფეროში თანამშრომლობას. ევროკავშირი და აშშ სავაჭრო საკითხების ირგვლივ პერიოდულად მართავენ დებატებს ვმო-ს ჩარჩოებში, რაც გარდაუვალია მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მაღალი მასშტაბებიდან გამომდინარე, მაგრამ სავაჭრო დებატები ეხება ევროკავშირი-აშშ-ის სავაჭრო ბრუნვის 2%-ს.

მიუხედავად ტრანსატლანტიკური მაღალი დონის ეკონომიკური ურთიერთ-დამოკიდებულებისა, იგი მაინც ატარებს რამდენიმე უარყოფით რისკებს, რაც ნათლად გამოჩნდა 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისში, რომელიც გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდეგ დაიწყო ევროპაში. იმ სიტუაციაში როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა არის აღმოფხვრის გზაზე ღრმა კრიზისის გამო, ევროკავშირის წევრი ქვეყნები – საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი იბრძვიან თავიათი სუვერენული ვალის კრიზისიდან გამოსვლაზე, რაც ანელებს ევროპის ეკონომიკურ ზრდას.

ევროკავშირი – აშშ-ს ეკონომიკურ ურთიერთობაში ძირითადი პრობლემა არის სავაჭრო წესებზე უთანხმოება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. განსაკუთრებით მომსახურების სფეროსა და ელექტრონულ ვაჭრობაში.

#### **ევროკავშირი და ჩინეთი**

ჩინეთი მსოფლიოს მესამე უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა გერმანიისა და აშშ-ის შემდეგ. მასზე მოდის მსოფლიო ექსპორტის 12% და იმპორტის 8% და იგი წარმოადგენს მეტად მზარდ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. ევროკავშირი და ჩინეთი გლობალურ ვაჭრობაში მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან. ჩინეთი ერთადერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირის გლობალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ბოლო პერიოდში ევროკავშირი-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად ჩინეთი წარმოადგენს ევროკავშირის მეორე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას აშშ-ის შემდეგ და ნომერ პირველ იმპორტიორს. ევროკავშირის ღია ეკონომიკა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა დიდად უწყობს ხელს ჩინეთის ექსპორტის ზრდას და, შესაბამისად, მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც ევროკავშირს ყველაზე დიდი უარყოფითი სავაჭრო საღლო აქვს. ევროკავშირის საქონლის ექსპორტმა ჩინეთში 2007 წელს 71,9 მლრდ ევრო, ხოლო ევროკავშირში ჩინეთიდან საქონლის იმპორტმა 232,5 მლრდ ევრო შეადგინა, ანუ ექსპორტის გადაფარვის კოეფიციენტი იყო დაახლოებით 30%. 2007 წელს ევროკავშირიდან ჩინეთში მომსახურების ექსპორტმა 17,6 მლრდ ევრო, ხოლო ევროკავშირში ჩინეთიდან მომსახურების იმპორტმა 13,7 მლრდ ევრო შეადგინა. ჩინეთის ეკონომიკა და საგარეო ვაჭრობა მეტად მზარდია. ამიტომაც ევროკავშირის პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთში (7,1 მლრდ ევრო) 12-ჯერ აღემატება ევროკავშირში ჩინეთის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (0,6 მლრდ ევრო) მოცულობას. ევროკავშირი და ჩინეთი

ერთმანეთის პარტნიორებიც არიან და კონკურენტებიც. 1985 წელს ევროკავშირსა და ჩინეთს შორის გაფორმდა ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ შეთანხმება. 2007 წლის იანვრიდან კი მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ევროკავშირი იყო ჩინეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ერთ-ერთი ძირითადი მხარდამჭერი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ჩინეთის მიღება, მართლაც, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით. ჩინეთის შესვლამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდას და ევროკავშირის კომპანიების სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას ჩინეთის ბაზარზე.

ახია - ევროპის ეკონომიკურ ურთიერთობაში ხახი უნდა გაეფხვებინათ ასევე პრობლემებს ამ ურთიერთობაში, კერძოდ, გადასახადების მაღალი დონის შემცირებას და ასევე ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გაუმჯობესებას.

#### **ევროკავშირი და იაპონია**

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროკავშირი და იაპონია მსოფლიო ვაჭრობასა და ეკონომიკაში ძირითადი მონაწილენი არიან. ორივეზე მოდის მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 40%. იაპონია მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაა და ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. მისი ეკონომიკა მსოფლიოში მეორე ადგილზეა, მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. მასზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 1/8. იაპონიას აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეზერვი ოქროსა და ვალუტის სახით. იაპონიაზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტ-იმპორტის 7%. ევროკავშირისათვის იაპონია არის მედ4 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანა ჩინეთის, აშშ-ის და რუსეთის შემდეგ. ევროკავშირში იაპონიიდან საქონლის იმპორტის მოცულობამ 78,3 მლრდ ევრო შეადგინა. იაპონიას ევროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მე-6 ადგილი უჭირავს. ევროკავშირიდან საქონლის ექსპორტის მოცულობა იაპონიაში 43,7 მლრდ ევროა, ანუ იაპონიიდან ევროკავშირში საქონლის იმპორტის მოცულობა, ევროკავშირიდან იაპონიაში ექსპორტის მოცულობას 34,6 მლრდ ევროთი აღემატება. იაპონია არის ევროკავშირის მნიშვნელოვანი ბაზარი. იაპონიაზე მოდის ევროკავშირის აგრარული პროდუქციის ექსპორტის – 7,5%, საფეიქრო საქონლის – 5,4%, ქიმიური პროდუქციის – 5,4% და სატრანსპორტო საშუალებების 4,5%. ევროკავშირში იაპონიის ექსპორტი ძირითადად წარმოდგენილია სატრანსპორტო საშუალებებითა (45%) და ქიმიური პროდუქციით (15,5%). თუ გავითვალისწინებთ იაპონური კომპანიების მიერ ჩინეთში წარმოებული პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში, იაპონია კვლავ რჩება ევროკავშირის მეორე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანად აშშ-ის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი იაპონიისთვის მისამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და მეორე ექსპორტიორი ქვეყანაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი-იაპონიის ეკონომიკურ თანამშრომლობაში ის პრობლემა დგას, რომ იაპონიის ბაზარზე შესვლა წარმოადგენს დიდ სირთულეებს ევროპული კომპანიებისათვის. ასევე, იმართება დისკუსიები ეკოლოგიის საკითხებზე, რომელიც საჭიროებს დიდ ყურადღებას, ცვლილებებს და სწორედ განვითარებას.

#### **ევროკავშირი და თურქეთი**

თურქეთი 2008 წელს იყო ევროკავშირის მეშვიდე უმსხვილესი იმპორტიორი და მეხუთე ექსპორტიორი ქვეყანა. თურქეთის სწრაფვა ევროკავშირისაკენ

მნიშვნელოვნად აისახება მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბებზე. თურქეთის ექსპორტის 56% და იმპორტის 41% სწორედ ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, რაც სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს.

#### **ევროკავშირი და შვეიცარია**

შვეიცარიის საქონლის მთლიანმა ექსპორტმა 2008 წელს 125,5 მლრდ ევრო, ხოლო იმპორტმა 117,6 მლრდ ევრო შეადგინა. ევროკავშირის ექსპორტის მოცულობა შვეიცარიაში (მოსახლეობა 7,5 მლნ) აღემატება ჩინეთში ევროკავშირის ექსპორტის მოცულობას (მოსახლეობა 1,3 მლრდ). შვეიცარია წარმოადგენს ევროკავშირის მეხუთე უმსხვილეს იმპორტიორს და რიგით მესამე ექსპორტიორს. ძალიან დიდია შვეიცარიის სავაჭრო-ეკონომიკურ და საფინანსო ურთიერთობებში ევროკავშირის წილი. შვეიცარიის ექსპორტის 62% და იმპორტის 80% ევროკავშირზე მოდის.

#### **ევროკავშირი და ნორვეგია**

ნორვეგია ევროკავშირის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2008 წელს იგი იყო ევროკავშირის მეოთხე უმსხვილესი პარტნიორი და მეექვსე ექსპორტიორი ქვეყანა. ევროკავშირი-ნორვეგიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდება მაღალი მასშტაბებით. ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ მისი საქონლის ექსპორტის 81% და იმპორტის 69% ევროკავშირზე მოდის.

ევროკავშირის 2004 წლის დიდმა გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. ევროკავშირი ცდილობს არ დაუშვას ახალი გამყოფი ზოლების წარმოქმნა ევროპაში და ხელს უწყობს სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას როგორც ახალი საზღვრით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2003 წლის მარტში ევროკავშირმა წარმოადგინა დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა და მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისათვის“, რომელიც ევროკავშირის საბჭომ მოიწონა და მიიჩნია სასურველ პლატფორმად პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრისათვის ახალ მეზობლებთან ურთიერთობაში. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია“, რომლის საფუძველზე მოხდა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ჩართვა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.“ 2006 წლის 14 ნოემბერს ბრიუსელში საქართველო – ევროკავშირის ერთობლივ საბჭოს შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმება: „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: სამოქმედო გეგმა ევროკავშირი-საქართველო“. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა ძირითადი სფეროები, რომლის ფარგლებში მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ შემდეგი 5 წლის განმავლობაში. სამოქმედო გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების საქმეში. სამეზობლო პოლიტიკის პროცესში სამხრეთ კავკასიის არცერთი სახელმწიფო არ მოიაზრებოდა. მოგვიანებით, კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინების შემდეგ, ევროკავშირმა გადაწყვეტილება შეცვალა და ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი გახადა. აღსანიშნავია, რომ მოდღოვასა და უკრაინის სამოქმედო გეგმებისაგან განსხვავებით, სადაც ევროკავშირი განხორციელების დასრულების სამი წლის განმავლობაში გეგმავს, ევროკავშირმა საქართველოს ხუთწლიანი ვადა შესთავაზა.

ევროკავშირი სთავაზობს საქართველოს ინტენსიურ თანამშრომლობას ვაჭრობის, ეკონომიკის, პოლიტიკის და უსაფრთხოებისა და კულტურის საკითხებში; აქტიურ რეგიონულ და საზღვრისპირა თანამშრომლობას და პასუხისმგებლობის გაზიარებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი მოგვარების საკითხებში.

ევროკავშირი თავის სამეზობლო პოლიტიკას აწარმოებს 16 ახლო მეზობელთან, ესენი არიან : ალჟირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ეგვიპტე, საქართველო, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მოროკო, ოკუპირებული პალესტინის ტერიტორია, სირია, ტუნისი და უკრაინა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია ითვალისწინებს კონკრეტულ პირობებს, თუ რას და როგორ შესთავაზებს ევროკავშირი თავის მეზობელ არა წევრ ქვეყნებს იმისათვის, რომ დაახლოვდეს და უფრო აქტიური გახდეს მათი თანამშრომლობა. ევროკავშირი სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოში სთავაზობს ურთიერთობებს, რომელიც დაფუძნებულია საერთო ფასეულობებზე, როგორც არის დემოკრატია და ადამიანთა უფლებები, კანონის უზენაესობა, სწორი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა არ გულისხმობს ევროკავშირის გაფართოების პროცესს, თუმცა, ეს არ გამორიცხავს ევროპის მეზობლებისათვის, რომ მათი ურთიერთობა ევროკავშირთან შეიძლება განვითარდეს მომავალში, შესაბამისი ხელშეკრულებების – შეთანხმებების მიხედვით.

ევროკავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრუქტურის სისუსტეები თვალნათლივ გამოჩნდა ევროზონაში, პირველ რიგში, 2001 წელს ახალი ეკონომიკური ბუმის დაწყებით, შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისით, და ბოლოს - სულ ახლახან, საბერძნეთის სასესხო დავალიანებით.

აშშ-ისგან განსხვავებით, 2001-2005 წლებში, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროზონის მთავრობები აქტიურად არ ებრძოდნენ ეკონომიკურ სტაგნაციას. ამის გამო, ევროზონის ზრდა ჩამორჩებოდა აშშ-ისა და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს (დანია, შვედეთი და ბრიტანეთი) მსგავს მაჩვენებლებს.

ამავე დროს, ევროზონაში არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ (ბუმი ირლანდიასა და ესპანეთში, სტაგნაცია გერმანიასა და იტალიაში) აშკარად აჩვენა, რომ ევროპის ცენტრალური ბანკისა და წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული შერეული პოლიტიკის მიდგომა აშკარად არაადეკვატურია. ევროპის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკა უაღრესად ხარჯიანი იყო ირლანდიისა და ესპანეთის ძლიერი ეკონომიკებისთვის და, ამავე დროს, იგი ზღუდავდა გერმანიისა და იტალიის სტაგნაციის პროცესში მყოფ ეკონომიკებს. ფისკალური პოლიტიკა დომინირებდა ირლანდიასა და ესპანეთში მკაცრი ფინანსური ზომების განხორციელების შედეგად, ხოლო გერმანიასა და იტალიაში – განვითარების სტრატეგიის საშუალებით.

ევროზონაში ამგვარი შერეული ტიპის ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია, რადგან ევროპის შეთანხმება და „სტაბილურობის შესახებ შეთანხმების“ რეგულაციები მთავრობებს ავალდებულებს ცალმხრივად მოახდინონ ბიუჯეტების კონსოლიდაცია. გარდა ამისა, რადგან არ არსებობს ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის უწყება, რომელიც ფისკალური პოლიტიკის შესაბამის ზომებს მიიღებს, წევრ სახელმწიფოს ევალება უმკაცრესი ეკონომია (დაზოგვა) ან გაფართოება.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ევროპისთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის

ეკონომიკის პოლიტიკის სისტემის სისუსტეებს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეაგირება ფინანსურ ბაზარსა და ეკონომიკურ კრიზისებზე (ყოველ შემთხვევაში, პირველ პერიოდში) არათანმიმდევრული და არაკორდინირებული იყო და საკმაოდ წინააღმდეგობრივიც კი. კერძოდ, ორივე შემთხვევაში, საფრანგეთმა და გერმანიამ ვერ მოახერხეს საერთო პოზიციაზე შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, ეს კრიზისი მთლიანად ევროპაში იყო თუ არა გავრცელებული, ან რა ზომები უნდა მიეღოთ კრიზისის დასაძლევად, როგორი უნდა ყოფილიყო ამ ღონისძიებათა მასშტაბები. აღნიშნული შეუთანხმებლობის შედეგია ის, რომ ფინანსური ბაზრის კრიზისის დასაძლევად შეიქმნა ეროვნული ანტიკრიზისული პაკეტები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მასშტაბებითა და საბანკო სისტემაში სახელმწიფო ინტერვენციის დონეებით. ეროვნული ეკონომიკური სტიმულაციის პაკეტები ასევე განსხვავდება ფისკალური პოლიტიკის ზომების გამოყენებითა და მათი მიღების თარიღებით. მაგ., გერმანიამ თავისი პირველი, საკმაოდ მშრალი ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი მიიღო ძლიერი საერთაშორისო კრიტიკის შემდეგ, ხოლო მეორე პაკეტი - ევროპისგან აშკარა და, ამავე დროს, ფარული იზოლაციის პერიოდში.

ევროკავშირი ვერასოდეს შეძლებს განავითაროს თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მხოლოდ ფასის სტაბილურობაზე მიმართვით და ფისკალური პოლიტიკის არსებული ინსტიტუციური სტრუქტურებით (სადაც წევრი ქვეყნები არიან გადაწყვეტილებების მიმღებები). ეკონომიკური კრიზისის (რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს აზარალებს) გადასაჭრელად, აშკარად არ იყო მიღებული დროული ზომები, არ იყო სათანადო კოორდინაცია და საკმარისი რესურსები. ამ ყველაფერმა კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა და გაახანგრძლივა.

საბერძნეთის კრიზისი ევროპის ეკონომიკისა და ფულადი კავშირის ფისკალური პოლიტიკის სტრუქტურების სისუსტის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. წევრი სახელმწიფოების ბიუჯეტების პოლიტიკაზე საკმარისი კონტროლი არ არის.

ევროპის ეკონომიკისა და ფულად კავშირს არ გააჩნია საკმარისი ცენტრალური ფედერალური ბიუჯეტი და წევრი სახელმწიფოები საბიუჯეტო პოლიტიკას თავად განსაზღვრავენ. აქედან გამომდინარე, მასტრიხტის შეთანხმების დადების საფუძველი ბიუჯეტის დეფიციტის ესკალაციის საშიშროება გახდა. ეს შეთანხმება არის, გარკვეულწილად, ზედმეტი დეფიციტების თავიდან აცილების პროცედურა. ეროვნული ვალი, დეფიციტის კოეფიციენტებზე დაყრდნობით, უნდა აჭარბებდეს 60%-ს; ახალი წმინდა სესხები არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის სამ პროცენტს და შეთანხმების ერთ-ერთმა მუხლმა ეკონომიკური სირთულეებიდან გამოსვლა უნდა უზრუნველყოს, რომ ეკონომიკური ფულად-საკრედიტო კავშირის მიმდინარე დეფიციტებთან ბრძოლა არ დაეფუძნოს ევროგაერთიანების სოლიდარობას. აღნიშნული დებულებების გასამყარებლად, დადგენილებათა სერიაში, კანონქვემდებარე აქტების საშუალებით, შეიქმნა „სტაბილურობისა და ზრდის შესახებ შეთანხმება“, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა და გამოსაყენებლად უფრო მოქნილი გახდა.

ცნობილია, რომ ეროვნული ბიუჯეტების ცენტრალური მონიტორინგი საკმაოდ რთული საქმეა, რადგან დეცენტრალიზებულია შესაბამისი კომპეტენციები. ამ სისტემამ ვერ შეძლო თავიდან აცილებინა საბერძნეთის მაქინაციური ქმედებები ევროზონის წევრობის მოსაპოვებლად. ამისათვის, საბერძნეთმა ეროვნული ვალებისა და ახალი სესხების შესახებ ცრუ მონაცემები გამოაქვეყნა. სისტემა ასევე უძლური აღმოჩნდა კარა მანლის ნეოკონსერ-

ვატიული მთავრობისათვის ხელი შეეშალა 2009 წელს, ბრიუსელისათვის მცდარი ინფორმაციის მოწოდებისათვის. კერძოდ, მთავრობის ანგარიშში ნახსენები იყო ბიუჯეტის 6-7%-იანი დეფიციტი, მაშინ როცა, სინამდვილეში, დეფიციტი 13% იყო.

ევროკავშირმა ევროზონაში არსებული კრიზისი უნდა გამოიყენოს მასტრისტის ეკონომიკური და ფულადი კავშირის სტრუქტურული დეფექტების აღმოსაფხვრელად. ერთგვარი მიდგომა უნდა შემუშავდეს იმ პრობლემასთან მიმართებაში, რომელიც ევროპის ეკონომიკური მთავრობის შემოღებისთანავე გაჩნდა. ვალებთან დაკავშირებული კრიზისის თავიდან აცილებასთან ერთად, ეს იქნებოდა კარგი შესაძლებლობა, რათა ევროპის კავშირმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღოს ევროპული ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტი მას დაეხმარება თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში. უფრო მეტიც, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოთა სისტემა, რომელიც ევროკავშირში გარკვეულ წინააღმდეგობრივ ვითარებას ქმნის დასაქმების კუთხით, უნდა გაუქმდეს ევროპის სახელფასო, სოციალური და საგადასახადო პოლიტიკების კოორდინაციის საშუალებით. მხოლოდ და მხოლოდ ამ ორი სტრუქტურული რეფორმის საშუალებით არის შესაძლებელი ევროპის ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში სტაბილურობის უზრუნველყოფა.

არგუმენტს იმის შესახებ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები არ არიან მზად ასეთი გრძელვადიანი რეფორმებისთვის, შეგვიძლია დაეუპირისპირდეთ კონტრარგუმენტით - მასტრისტის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის სტრუქტურული დეფექტები საფრთხეს უქმნის ევროკავშირის დაშლას. ნებისმიერი მცდელობა, რომ დასტაბილურდეს ეკონომიკური და ფულადი კავშირი, პოლიტიკური კავშირის შექმნის მიმართულებით, დამატებით გადამწყვეტ ზომებს მოითხოვს. ეკონომიკური მმართველობის, ფისკალური ეკვილიბრაციის მექანიზმების, სოციალური და საგადასახადო პოლიტიკის ევროპულ დონეზე კოორდინაციის გარეშე, შეუძლებელი იქნება ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შენარჩუნება. „ევრნერის გეგმის“ ავტორებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, როცა კავშირი დაარსეს. „დელორის გეგმის“ (რომელსაც მასტრისტის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი ეყრდნობა) ავტორები ფიქრობდნენ, რომ ეს ფუნდამენტური იდეები იგნორირებული იქნებოდა. ეს რომ შეცდომა იყო, კარგად გამოჩნდა ევროზონაში ამჟამად არსებული კრიზისის მწვავე შედეგებით.

ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირისა და მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის მაგალითზე, აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

აუცილებელია დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ ფასების სტაბილურობაზე, არამედ დასაქმებაზეც;

ფისკალური პოლიტიკის ორიენტირება არა მხოლოდ საბიუჯეტო სტაბილურობაზე, არამედ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით, ეკონომიკური კრიზისის და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე;

დამოუკიდებელი ვალუტის არსებობა, რომლის სავალუტო კურსი მოქნილი იქნებოდა საგარეო ზეწოლისა და მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დაბალანსების მიმართ;

სახელმწიფო კონტროლის დაწესება საბანკო სისტემასა და საერთაშორისო კაპიტალმოდრობებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ფინანსური კრიზისი და საფინანსო სექტორის გაკოტრება.

რეგიონალური ინტეგრაციის კუთხით, ძალზედ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სასაქონლო ვაჭრობისა და მომსახურებების ლიბერა-



ლიზაცია, ერთიანი ევროპული ბაზრის პროექტის მსგავსად, შეიძლება გადაიზარდოს განვითარებასა და დასაქმებაში, თუმცა, ევროპული მაგალითი ასევე გვიჩვენებს, რომ საერთო ვალუტის შემოღება გარკვეულ წინაპირობებსაც საჭიროებს, ესენია:

ფედერალურ დონეზე ეკონომიკური მთავრობა, რომელსაც ექნებოდა კომპეტენცია საერთო ფისკალურ პოლიტიკაზე;

ფინანსური გადანაწილების მექანიზმი, რომელსაც ქვეყნები ფედერალური დონიდან ევროკავშირის წევრობაზე გადაჰყავს და/ან შედარებით მდიდარი ქვეყნები, რეგიონალური ეკონომიკური დისბალანსის გამო, განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე ქვეითდებიან;

ფედერალურ დონეზე კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც თავიდან აიცილებს ხელფასების ხარჯების კუთხით წევრ სახელმწიფოებში არსებულ უთანასწორო კონკურენციას და ევროკავშირში უზრუნველყოფს საცხოვრებელი სტანდარტების შესაბამისობას. ასეთი მექანიზმი ასევე საჭიროა სოციალური უზრუნველყოფისა და საგადასახადო სისტემებში.

დაბოლოს, ევროკავშირის პარტნიორ სახელმწიფოებს ძალზედ ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ მისი ძირითადი პროექტებიდან მიღებული გამოცდილებიდან („ერთიანი ევროპული ბაზარი“ და „ეკონომიკური და სავალუტო კავშირი“). გარდა ამისა, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი ევროპის სოციალური უზრუნველყოფის სისტემების მაგალითიდანაც. განსაკუთრებით, ეს ეხება ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შეცდომებს.

ევროკავშირის დღევანდელი ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში არ არის სრულფასოვნად გამოყენებული მისი საგარეო ეკონომიკური კავშირების შესაძლებლობები. ჩვენი აზრით, საერთო სტრატეგიის საგარეო ეკონომიკური კომპონენტი არ გადაიქცა აქტიურ შესაძლებლობად ალიანსის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. ყურადღება გადატანილია ძირითადად ქვეყნებში შიდა მაკროეკონომიკური, საბიუჯეტო და სხვა სახის პრობლემების გადაწყვეტაზე, რაც თავის მხრივ ჯერჯერობით სასურველ შედეგს არ იძლევა (ამის მაგალითები წარმოდგენილი არის ნაშრომში).

ეს განსაკუთრებით გამოიკვეთება წამყვან გარე პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარებაში, პირველ რიგში აშშ-სთან, იაპონიასთან, ჩინეთთან და სხვებთან, ხოლო როდესაც ბოლო წლებში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ალიანსის ბაზარზე მცირდება კიდევ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში აქტიური ჩართვის აუცილებლობა (თუმცა ცნობილია მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ).

საგანგებოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან ევროკავშირის სტრატეგიის შემუშავება ენერგორესურსებით ვაჭრობის საქმეში სამართლიანი კომერციული წესების შემოღებით მწარმოებლის, მომხმარებლისა და სატრანზიტო პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით.

ნაკლები პროგრესია საგარეო ვაჭრობის სფეროში არსებული სატარიფო თუ სხვა ბარიერების გამო. ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ეგიდით ინიცირებული სავაჭრო მოლაპარაკებები ევროკავშირისა და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან (აშშ, იაპონია, ჩინეთი) ისეთ სფეროებში, როგორც არის მომსახურება, ელექტრონული ვაჭრობა, ვაჭრობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით და ა.შ.

მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში (ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები), მათ შორის სავაჭრო კავშირების შემდგომი ლიბერალიზაციის მიმართულებით. ამასთან ერთად აღნიშნულ ქვეყნებში მაღალი პოლიტიკური და უსაფრთხოების

რისკები, ევროპაში არსებული სერიოზული ფინანსური კრიზისი და სხვა საფრთხეები ხელს უშლიან სრულფასოვანი კოოპერირების განვითარებისთვის.

*George Aptsiauri*  
*Georgian Technical University*  
*Bachelor of Social Sciences in Economics*

## **EUROPEAN UNION AND ITS FOREIGN ECONOMIC PROBLEMS**

### **Summary**

The author has made an attempt to consider some problems of the modern foreign economic policy of the European Union in two dimensions: as to sectors (trade, finances, budgetary policy and so on) and as to players, or actors (EU-USA, EU-Japan, EU-China, EU - non Alliance states and others).

The European Union-neighbors relations, including those, united under the umbrella of the Eastern Partnership Program is an integral part of the mentioned analysis.

Based on the overview of the new risks and challenges, the author tries to stress the increased importance of the foreign economic component in the Common Economic Agenda of the European Union and presents his observations and comments in this respect.

**ინფორმაცია**

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტი. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ებზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: **economics\_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამათაბითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
ბამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
**შელავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com)

### ჟურნალ “ეკონომისტიში” სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com), [tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამაატუბითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

### GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

**USD**

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ს ა რ ჩ ე მ ი

პროფესორ თამაზ ჩიკვაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა

4

ეკონომიკური თეორია

*George Berulava* – A Collective Model of Female Labor Supply: Evidence from Georgia

7

მაკროეკონომიკა

*Кураташвили Альфред* – Решение проблемы политической ориентации – необходимая основа эффективного государственного управления

18

*Кураташвили Анзор* – Проблемы государственного управления и правовой фактор

23

*შორენა კახიძე* – პროგრამული ბიუჯეტი და მისი მნიშვნელობა

27

*შორენა კახიძე* – სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში

31

სექტორული ეკონომიკა

*Бурдули Вахтанг* – Вопросы развития отраслевой и технологической структур экономики страны в условиях глобализации

36

*Груцинская Наталия Николаевна* – Технологическая составляющая национальной экономики как основа ее конкурентоспособности

47

გლობალიზაცია

*Яценко Ольга* – Факторы и детерминанты феномена глобализации

52

საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა

*Ибрагимов Муслим Азад оглы* – Исследование эффективности экономической структуры и необходимость структурного реформирования аграрного сектора национальной экономики азербайджанской республики

60

სოციალური ეკონომიკა

*თამარ ბაჩიაშვილი* – სოციალური ფაქტორის გავლენა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიურ ეფექტიანობაზე

66

მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

*გიორგი აფციაური* – ევროკავშირი და მისი საგარეო ეკონომიკური პრობლემები

70

ინფორმაცია

82

85

## C O N T E N T S

<b>SCIENTIFIC AND PUBLIC ACTIVITIES OF PROFESSOR TAMAZ CHIKVAIDZE</b>	<b>4</b>
<b>ECONOMIC THEORY</b>	
<i>George Berulava</i> – A Collective Model of Female Labor Supply: Evidence from Georgia	7
<b>MACROECONIMICS</b>	
<i>Kuratashvili Alfred</i> – Solution of the Problem of Political Orientation – the Necessary Basis of Effective State Management	18
<i>Kuratashvili Anzor</i> – Problems of State Management and Legal Factor	23
<i>Kakhidze Shorena</i> – Programme Budgeting and its Importance	27
<i>Kakhidze Shorena</i> – Government Finance Management Reform in Georgia	31
<b>SECTORAL ECONOMY</b>	
<i>Burduli Vakhtang</i> – The Questions of Development of Sectoral and Techological Structures of Country’s Economy under Globalization	36
<i>Gruschinskaya Nataliya</i> – Process Component of the National Economy as a Basis for its Competitiveness	47
<b>GLOBALIZATION</b>	
<i>Yatsenko Olga</i> – Factors and Determinants of Globalization Phenomenon	52
<b>FOREIGN COUNTRIES’ ECONOMY</b>	
<i>Ibrahimov Muslim</i> – Research of Efficiency of Economic Structure and the Necessity of Structural Reforming of Agrarian Sector of National Economy of Azerbaijan	60
<b>SOCIAL ECONOMY</b>	
<i>Bachiashvili Tamar</i> – The Influence of the Social Factor on the Economic Effectiveness of Marketing Relationships	66
<b>SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS</b>	
<i>Aptsiauri George</i> – European Union and its Foreign Economic Problems	70
<b>INFORMATION</b>	<b>82</b>

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**